




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გურევინი ემილ (სამუილ) იაკობის ძე



ე. გურევინი

გურევინი ემილ (სამუილ) იაკობის ძე (9. V. 1913, კიევი, – 23. III. 1981, თბილისი), პიანისტი და პედაგოგი. პროფესორი (1968), საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). 1935 დაამთავრა კიევის კონსერვატორია (პროფ. კ. მიხაილოვის საფორტეპიანო კლასი), აქვე გაიარა ასპირანტურის კურსი. საკონცერტო მოღვაწეობა დაიწყო 1935-იდან (ამ წელს ზედიზედ გახდა უკრაინის პიანისტთა რესპ. და II საკავშ. კონკურსების ლაურეატი). პარალელურად ეწეოდა პედაგ. მოღვაწეობას კიევის კონსერვატორიაში. 1936–39 რამდენჯერმე იყო საგასტროლოდ თბილისში, შემოქმედებითად თანამშრომლობდა ე. მიქელაძესა და სხვა ქართველ დირიჟორებთან. 1952-იდან გადმოსახლდა თბილისში; მუშაობა დაიწყო ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიაში. აღზარდა მრავალი ცნობილი მუსიკოსი

(პიანისტები პ. დიმიტრიადი, ნ. ქათამაძე, დირიჟორი ვ. მაჭავარიანი, კომპოზიტორი გ. ჩლაიძე და სხვ.). გ. მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგი იყო. სხვადასხვა დროს კონსულტაციას უწევდა გამოჩენილ პიანისტებს (ა. თორაძესა და ე. ლეონსკაიას).

გ. ტორაძე
